



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 83

2011 წლის 11 ივლისი

ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის (რეზერვისტთა გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის №503 ბრძანების, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის 2011 წლის 8 ივლისის №200 წერილის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №54 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე:

1. მიმდინარე წლის 12 ივლისს განსახორციელებელია გორის მე-5 ქვეით ბრიგადაში 250 რეზერვისტის გადაყვანა ქალაქ ხაშურიდან. ღონისძიების განხორციელებამდე დარჩენილია ორი დღე. აღნიშნულის გათვალისწინებით, განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის (რეზერვისტთა გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ.ხაშური, ტაბიძის ქ.№2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ხაშური, კოსტავას ქ.№15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

